



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 13 აპრილი, 2017 წელი

დრო: 16:00 – 19:00 საათი

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „ბეთსი“

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
2. ლაშა ტულუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თავისუფალი არჩევანი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
5. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ”საქართველოს ჩაი“
6. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. თამაზ ვაშაკიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
8. ვლადიმირ ბოჟაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
9. რაისა ლიპარტელიანი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
10. ვიტალი გიორგაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი
11. კახა გოგოლაშვილი - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, რონდელის ფონდი

განსახილველი საკითხები:

- სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში მონაწილეთა შერჩევის წესი;
- პროექტის: „საქართველოს ეროვნული პლატფორმის შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაზრდა“ პრეზენტაცია - ლაშა ტულუში, ლიბერალური აკადემია - თბილისი
- ორგანიზაციის „კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით“ წევრობის საკითხი;
- Eap-csf.ge ვებ-გვერდისთვის დამატებითი ფუნქციონალის დამტკიცება;
- ორგანიზაციის „ადგილობრივი დემოკრატია -საქართველოს“ რეკომენდაციის მხარდაჭერა;
- 2016 წელს განხორციელებული პროექტის: „საქართველოს ეროვნული პლატფორმის მხარდაჭერა უფრო თანასწორი, ღია და დემოკრატიული საზოგადოებისთვის“ წლიური ანგარიშის მოკლე მიმოხილვა;
- პლატფორმის წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხი;
- 2017 წლის მოლოდინები და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის განხილვა;
- პლატფორმის კომუნიკაციის სტრატეგიაზე მსჯელობა;
- პლატფორმის ურთიერთობა მთავრობასთან, პარლამენტთან და ევროკავშირის დელეგაციასთან, EaP პლატფორმებთან;
- ახალი წევრების მიღება;
- სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად საბჭომ განიხილა 2017 წლის 25-27 ოქტომბერს, ტალინში დაგეგმილი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის რიგით მე-9 ყოველწლიური შეხვედრისთვის მონაწილეთა შერჩევის წესი. თავმჯდომარემ გააჟღერა ინიციატივა, რომ კენჭისყრა მოხდეს ჯგუფის შიგნით - ჯგუფის წევრებმა ხმა მისცენ სასურველ აპლიკანტებს, მხოლოდ იმ კანდიდატებიდან, რომელთაც აპლიკაციაში მითითებული აქვთ მათი საუშაო ჯგუფი. მაგ: მეოთხე ჯგუფის წევრებმა ხმა მისცენ მხოლოდ მეოთხე ჯგუფში წარმოდგენილი მონაწილეებიდან სასურველ კანდიდატებს.

აღნიშნულ მიდგომაზე იმსჯელა საბჭომ. დაისვა შეკითხვები: თუ ერთ ორგანიზაციას ჰყავს წარმომადგენელი ორ ან მეტ სამუშაო ჯგუფში, შესაბამისად ეს ორგანიზაცია კანდიდატებს ირჩევს ყველა ჯგუფში, სადაც მისი წარმომადგენელი მონაწილეობს თუ უწესდება გარკვეული შეზღუდვა? რამდენი ხმა ექნება თითოეულ ორგანიზაციას? და სხვა. ხმათა უმრავლესობით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ უმჯობესია ერთ ორგანიზაციის ჰქონდეს მხოლოდ ერთი ხმა, თუმცა აქვე აღინიშნა, რომ ამ წესით ხმის მიცემის პროცედურის ამოქმედებას დასჭირდება დიდი დრო, რამდენადაც წევრმა ორგანიზაციებმა ჯერ უნდა აცნობონ სამდივნოს რომელ ჯგუფში აძლევენ ხმას, შემდეგ გაიგზავნოს მათთან ჯგუფის მიხედვით გაყოფილი სიები და დაიწყოს კენჭისყრა. საბჭო შეთანხმდა, რომ შეზღუდული დროის გამო, ამ ეტაპზე აღნიშნული წესით ხმის მიცემა გართულდება.

ეროვნულმა კოორდინატორმა წამოაყენა წინადადება, რომ ამ ჯერზე ხმის მიცემის პროცედურა ჩატარდეს ისე, როგორც შარშან - *პლატფორმის ყველა წევრმა ორგანიზაციამ მისცეს ხმა სიაში წარმოდგენილ სასურველ ორგანიზაციებს, განურჩევლად ჯგუფისა, კვოტებისა და ხმის მიცემის სახელმძღვანელოში მოცემული სხვა კრიტერიუმების შესაბამისად*, ხოლო მომავალ წელს შეიცვალოს შემდეგნაირად: *ორგანიზაციებს ჰქონდეთ თითო ხმა, მათ მიერ წინასწარ შერჩეულ ჯგუფში და შესაბამისად ჩატარდეს კენჭისყრა.*

ჯგუფმა კენჭი უყარა ეროვნული კოორდინატორის წინადადებას და ხმათა უმრავლესობით, საბოლოოდ მხარი დაუჭირა აღნიშნულ მიდგომას.

შემდეგ საკითხად საბჭომ განიხილა ორგანიზაციის „ადგილობრივი დემოკრატია - საქართველოს“-თვის საკოორდინაციო საბჭოს სახელით, რეკომენდაციის გაცემის საკითხი. მას შემდეგ რაც საბჭო გაეცნო ორგანიზაციის მიერ შედგენილ საპროექტო წინადადებას, პროექტის შინაარსისა და ორგანიზაციის აქტიურ საქმიანობაზე დაყრდნობით, დადებითად გადაწყვიტა რეკომენდაციის გაცემის საკითხი.

საბჭომ ასევე იმსჯელა პლატფორმის ვებ-გვერდისთვის (Eap-csf.ge) ახალი ფუნქციის დამატების შესახებ, რომელიც უფრო მოქნილსა და ღიას გახდის პლატფორმის განცხადებების შემუშავებისა და მასზე მხარდამჭერთა დაფიქსირების პროცესს¹. საბჭომ დაამტკიცა აღნიშნული შემოთავაზება;

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე დამსწრეებმა მოისმინეს ბატონი ლაშა ტულუშის პრეზენტაცია მიმდინარე პროექტის: „*საქართველოს ეროვნული პლატფორმის შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაზრდა*“ შესახებ. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების გაცნობის შემდეგ, მან ასევე აღნიშნა, რომ პროექტი მოიცავს სიმბოლურ ანაზღაურებას პლატფორმის თავმჯდომარისთვის. საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარის, ქალბატონ ქეთევან ვაშაკიძის განცხადებით, მას საკუთარი ორგანიზაციული საქმიანობიდან გამომდინარე არ აქვს უფლება მიიღოს დამატებითი ანაზღაურება, ამდენად საბჭოს წევრებს შესთავაზა, პროექტის დირექტორთან შეთანხმებით, აღნიშნული თანხა პლატფორმამ გამოიყენოს კონკრეტული საქმიანობისთვის. რაც შეიძლება იყოს, დამატებითი საერთო კრების ჩატარება წესდების ახალი რედაქციის მისაღებად, ასევე რეგიონალური შეხვედრა ან/და სხვა, მნიშვნელოვანი ღონისძიებები რაზედაც საბჭო შეჯერდება, ჯგუფებთან კონსულტაციების შემდგომ.

როგორც ბატონმა ლაშა ტულუშმა განაცხადა იგი პროექტის შესახებ პრეზენტაციას ჩატარებს ყველა სამუშაო ჯგუფში, როდესაც ჯგუფის შეხვედრები ჩაინიშნება და დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის პლატფორმის წევრებს. საბჭომ ასევე გააჟღერა რეკომენდაცია - შემდეგ წელს, პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნეს პლატფორმის წევრთა მოსაზრებები და მათთან კონსულტაციების შედეგად შემუშავდეს პროექტი. ქალბატონმა ნინო ელიზბარაშვილმა ასევე გამოთქვა კონკრეტული წინადადებები, რომლის გათვალისწინებაც სასურველია შემდეგი პროექტის შედგენისას.

ბატონმა ლაშა ტულუშმა ასევე წარადგინა ინიციატივა პირველი სამუშაო ჯგუფი შეხვედეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხებზე. საბჭომ გაიზიარა შეხვედრის გამართვის მნიშვნელობა და სთხოვა ბატონ ლაშას დაიწყოს

¹ ოქმს თან ერთვის ტექნიკური დავალების ფუნქციონალის აღწერა

პარლამენტის თავმჯდომარესთან მოლაპარაკებები შეხვედრის ჩასატარებლად. ჯგუფების კოორდინატორების მხრიდან გამოითქვა სურვილი შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გავრცელდეს მთლიან პლატფორმაში და სხვა ჯგუფის წევრებსაც მიეცეთ შეხვედრაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

შემდეგ საბჭომ იმსჯელა ორგანიზაციის „კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით“ წევრობის საკითხზე. რამდენადაც, აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილების მიღება საერთო კრებაზე ვერ მოხერხდა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ორგანიზაციას გაუგრძელდეს შეჩერებული სტატუსი შემდეგ კრებამდე.

საბჭომ ასევე, განიხილა გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების სააპლიკაციო ფორმები. კანდიდატებმა წარადგინეს მოკლე პრეზენტაციები საკუთარი ორგანიზაციების შესახებ, მათ ნაწილს წარდგენილი ჰქონდა სარეკომენდაციო წერილები. საბჭომ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება შემდეგი ორგანიზაციების გაწევრიანების შესახებ:

- ✚ ახალგაზრდული კავშირი ევროკლუბი;
- ✚ დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი;
- ✚ პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის;
- ✚ საზოგადოებრივი განვითარების აკადემია;
- ✚ სამოქალაქო განვითარებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრი;
- ✚ სამოქალაქო ფორუმი მშვიდობისთვის

ორგანიზაციას „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ უარი ეთქვა გაწევრიანებაზე. საბჭომ განიხილა რა ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები, მიიჩნია, რომ იგი არ იზიარებს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიზნებსა და ღირებულებებს.

შეხვედრაზე პლატფორმის თავმჯდომარის წარდგინებით, საბჭომ ხმათა უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება თავმჯდომარის მოადგილეებად შეირჩნენ ქალბატონი ნინო ელიზბარაშვილი, რომელიც წარმოადგენს ბიზნეს ასოციაციას და ქალბატონი რაისა ლიპარტელიანი, პროფესიული კავშირების წარმომადგენელი. თავმჯდომარის განცხადებით, ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება ევროპული პრინციპი, რომელიც გულისხმობს სამივე მხარის: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ბიზნეს ასოციაციებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენლობის უზრუნველყოფას.

აქვე, ახლად არჩეულ მოადგილეს, ქალბატონ რაისა ლიპარტელიანს, რომელიც გახლავთ იურისტი, დაევალა წესდების საკითხზე მუშაობა: სთხოვოს პლატფორმის წევრებს წესდების შესახებ საკუთარი წინადადებების დაფიქსირება და მოახდინოს მათი გაერთიანება შესაბამის ფორმატში.

საბჭომ ასევე იმსჯელა პლატფორმის კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობაზე და მიიღო გადაწყვეტილება გაიგზავნოს ინფორმაცია პლატფორმის წევრებში, ეთხოვოთ მათ წარადგინონ კონკრეტული სტრატეგია და მათი რესურსების დახმარებით, შემუშავდეს ერთობლივი კომუნიკაციის სტრატეგია.

პლატფორმის საქმიანობის გააქტიურებისა და მის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით საბჭომ ასევე იმსჯელა ერთობლივი ღონისძიების ორგანიზების საკითხზე და მიიღო გადაწყვეტილება 9 მაისს, ევროპის დღეს, პლატფორმამ დაგეგმოს კონკრეტული ღონისძიება. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამდივნოს დაევალა გაარკვიოს რა ტიპის ღონისძიება იგეგმა და რა ფორმით არის შესაძლებელი პლატფორმის ჩართულობა.

საბჭოს წევრებმა ასევე გამოთქვეს ინიციატივა გაფართოვდეს პლატფორმის წარმომადგენლობა და ქ. ბათუმში დაარსდეს პლატფორმის, კიდევ ერთი, რეგიონალური წარმომადგენლობა.

სამსაათიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა